ილჰამ ალიევის ხელმოწერების შეგროვების კამპანია დაიწყო



დღეიდან ახალი აზერბაიჯანის პარტიის (ააპ) მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებული ილჰამ ალიევის რესპუბლიკის მასშტაბით ხელმოწერების შეგროვების კამპანიას სტარტი მიეცა.
ააპ-ის ინფორმაციით, დღეს დილიდან პარტიის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციების სხდომები ჩატარდება და ქვეყნის მასშტაბით კანდიდატის ხელმოწერების შეგროვების კამპანია დაიწყო.
შეგახსენებთ, რომ ცესკომ 10 აგვისტოს ჩატარებულ სხდომაზე ილჰამ ალიევის ააპ-ის მიერ წამოყენებული კანდიდატურა დაამტკიცა.
ცესკოს პრესსამსახურმა კი განაცხადა, რომ ხელმოწერების შეგროვების კამპანიის ბოლო ვადა 9 სექტემბერია. ამ დღემდე ის კანდიდატები, რომლებიც ხელმოწერებს წარადგენენ ამ დღის შემდეგ ცესკოს მიერ აღრიცხვაზე მიიღებიან და პროპაგანდისტული კამპანიის დაწყებას შეძლებენ.
აღსანიშნავია, რომ 8 პრეზიდენტობის კანდიდატმა ცესკოს საარჩევნო დოკუმენტაცია წარუდგინა. ესენი არიან: ახალი აზერბაიჯანის პარტიის (ააპ) თავმჯდომარე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, თავისუფალი პარტიის თავმჯდომარე ახმედ ორუჯი, მოქალაქეობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარე ალი ალიევი, აზერბაიჯანის ლიბერალური დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ფუად ალიევი, ასდპ-ს თავმჯდომარე არაზ ალიზადე, მასფპ-ის თავმჯდომარე გუდრათ ჰასანგულიევი, საკუთარი ინიციატივით კანდიდატურის წამომყენებელი იურისტი ილგარ მამედოვი (ილგარ ალთაი) და იმედის პარტიის

ილჰამ ალიევის ხელმოწერების შეგროვების კამპანია დაიწყო

თავმჯდომარე დეპუტატი იგბალ აღაზადე.
წამოყენებული ი. ალიევის, ა. ორუჯის კანდიდატურები დამტკიცდა.
ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების 9 ოქტომბერს ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა.
აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.